დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 19 თებერვლის 06/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N18/25 ოქმით

ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტების ჩარიცხვის წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1 ამ წესის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტობის კანდიდატთა ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის პირობების განსაზღვრა.

1.2 ამ წესით განსაზღვრულ აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

1.3 საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დებულებით და დაკავშირებულია სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, გამოიყენება საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებებით გათვალისწინებული რეგულაციები.

1.4 იმ საკითხების მიმართ, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ დებულებით, გამოიყენება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების დანართი N1-ში მითითებული წარდგენისა და განხილვის წესები. (შემდგომში - „მინისტრის ბრძანების დანართი“)

2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები

2.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში), სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული). ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირები სწავლის უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

2.2 საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში), სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში (გარდა დისტანციური ფორმით გავლილი იმ პროგრამისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის საქართველოში აღიარებული). ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირები სწავლის უფლებას მოიპოვებენ სსიპ შეფასებისა და

გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ 2.1. პუნქტის შესაბამისად;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია 2.1. პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

3. ონლაინ რეგისტრაცია

3.1 წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა პირმა (შემდგომში - აპლიკანტმა) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად უნდა გაიაროს ონლაინ რეგისტრაცია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ სარეგისტრაციო ბმულზე: https://ugeduge.atlassian.net/servicedesk/customer/portal/1/group/1/create/17 (შემდგომში - ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა/სარეგისტრაციო ბმული). ელექტრონული სააპლიკაციო ფორმის საშუალებით მიღებული განაცხადი, წარმოადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის (შემდგომში - ცენტრი) მიმართვის ერთ-ერთ წინაპირობას.

3.2 აპლიკანტი უფლებამოსილია ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა შეავსოს დამოუკიდებლად, ასევე აგენტის მეშვეობით ან/და დაუკავშირდეს საერთაშორისო სტუდენტების და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს (შემდგომში - საერთაშორისო ოფისი), უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.

3.3 ელექტრონული სააპლიკაციო ფორმის შევსებისას აპლიკანტი თანხმობას აცხადებს მისი შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე: სახელი, გვარი, პირადი

ნომერი, პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის სერია და ნომერი, პირადობის/პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ვადა, ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, დაბადების თარიღი, ადგილი, უცხო ენის ცოდნა, სქესი, განათლების შესახებ ინფორმაცია, მოქალაქეობა, სამხედრო ვალდებულების შესახებ ინფორმაცია, ოჯახის შესახებ ინფორმაცია, სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი, სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის/აქტები (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა), ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი, კანონმდებლობის შესაბამისად სწავლების უფლების მინიჭებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო.

3.4 აპლიკანტი ვალდებულია სააპელაციო ბმულის მეშვეობით ატვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

3.4.1 პასპორტი ასლი;

3.4.2 ფოტოსურათი ¾;

3.4.3 უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი განათლების ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ატესტატი);

3.4.4 უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, იმ შემთხვევაში, თუკი აპლიკანტი საერთო სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი პირია;

3.4.5 აპლიკანტის მიერ B1 დონეზე ინგლისურის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3.4.6 აპლიკაციის საფასურს, წინამდებარე წესის 4.2 პუნქტში მითითებული ოდენობით.

3.4.7 სხვა დოკუმენტი, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც განსაზღვრულია მინისტრის ბრძანების დანართით.

3.5 აპლიკანტი, რომელიც ახორციელებს მობილობას საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 3.4 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად, ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

3.5.1 იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი და სილაბუსი, რომლიდანაც ხდება მობილობა. წარმოდგენილი დოკუმენტები არ მიიღება, თუკი საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ არ იქნება აპლიკაციაში ატვირთვამდე გაცემული დასკვნა, კრედიტების აღიარების შესახებ;

3.5.2 საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა, კრედიტების აღიარების შესახებ; (არასავალდებულო).

3.5.3 საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან

საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი იმ შემთხვევაში, თუკი აპლიკანტი საერთო სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველი პირია;

3.5.4 იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბრძანებები სტუდენტის ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, რომლიდანაც ხდება მობილობა. (არასავალდებულო).

3.5.5 სხვა დოკუმენტი, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც განსაზღვრულია მინისტრის ბრძანების დანართით.

3.6 აპლიკანტი, რომელიც ახორციელებს მობილობას უცხოეთში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, 3.4 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებთან ერთად, ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

3.6.1 იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ნიშნების ფურცელი და სილაბუსი, რომლიდანაც ხდება მობილობა. წარმოდგენილი დოკუმენტები არ მიიღება, თუკი საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ არ იქნება გაცემული დასკვნა, კრედიტების აღიარების შესახებ;

3.6.2 საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა, კრედიტების აღიარების შესახებ; (არასავალდებულო).

3.6.3 სხვა დოკუმენტი, რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც განსაზღვრულია მინისტრის ბრძანების დანართით.

3.7 წინამდებარე მუხლის 3.4.6 პუნქტში მითითებული აპლიკაციის საფასურის გადახდისგან თავისუფლდება პირი იმ შემთხვევაში, თუკი აპლიკანტი წარმოადგენს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტებს, ქართულენოვან თარგმანთან ერთად და განათლების აღიარების მისაღებად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის (შემდგომ - „ცენტრი“) გადახდილ საფასურის ქვითარს.

3.8 აპლიკანტი ელექტრონული სააპლიკაციო ფორმის შევსებისას უთითებს ინფორმაციას განსხვავებული ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ და ტვირთავს შესაბამის დამადასტურებელ ჯანმრთელობის ცნობას.

3.9 მიღებული აპლიკაცია და ატვირთული დოკუმენტაცია მოწმდება საერთაშორისო ოფისის მიერ. საერთაშორისო ოფისი ამოწმებს ასევე აპლიკანტის მიერ B1 დონეზე ინგლისურის ცოდნის ფლობას (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დაინიშნოს გამოცდა ინგლისურ ენაში). დადასტურების შემთხვევაში, გაიცემა თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარის, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებისა და კოდის მითითებით, ასევე ინფორმაცია პირის მიერ არჩეული საგანამანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობის დადასტურების შესახებ).

4. განათლების აღიარებისა და მინისტრის ბრძანებით ჩარიცხვის პროცედურა

4.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოსაპოვებლად განაცხადის ცენტრში წარდგენა ხორციელდება უნივერსიტეტის მხარდაჭერით (E-Flow-ს მეშვეობით).

4.2 უნივერსიტეტის მხარდაჭერისა და ჩართულობისთვის, აპლიკანტი იხდის მომსახურების საფასურს, რომელიც განისაზღვრება **170 აშშ დოლარის** ოდენობით. აპლიკანტმა მომსახურების საფასურის გადახდის დროს, დანიშნულებაში უნდა მიუთითოს მისი პასპორტის მონაცემები. ფინანსური სამსახურის მიერ ხორციელდება ჩარიცხვების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება. აღნიშნული მომსახურების საფასური არ წარმოადგენს სწავლის საფასურის ნაწილს და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

4.3 წინამდებარე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ, საერთაშორისო ოფისი იწყებს აპლიკანტის სწავლის უფლების მოპოვებისთვის საჭირო პროცედურებს: საერთაშორისო ოფისი უზრუნველყოფს მიღებული დოკუმენტების თარგმანს და ცენტრში წარდგენას.

4.4 ცენტრის მიერ მიღებული ბრძანება სტუდენტის გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) და განათლების აღიარების შესახებ წერილი, იგზავნება უნივერსიტეტის ოფიციალურ მეილზე - info@ug.edu.ge ან ფრონტ ოფისში E-FLOW-ს საშუალებით;

4.5 ფრონტ ოფისი გამოგზავნილ ინფორმაციას აწვდის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს და საერთაშორისო ოფისს. საერთაშორისო ოფისი ონლაინ სისტემაში ამოწმებს რეგისტრირებულ სტუდენტებს, ასევე, არეგისტრირებს ონლაინ სისტემაში. იმ სტუდენტებს, რომელთა შესახებ მიღებულია მინისტრის ბრძანება, სტუდენტის გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე, საერთაშორისო ოფისი ანიჭებს უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველი კანდიდატის სტატუსს.

4.6 თუ აპლიკანტზე გამოგზავნილია მინისტრის ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, მაგრამ განათლების აღიარების შესახებ წერილი არ არის წარმოდგენილი უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის საერთაშორისო ოფისს, რომელიც აპლიკანტთან ან/და მის აგენტთან კომუნიკაციის საშუალებით აგრძელებს პროცესის მართვას მანამ, სანამ განათლების აღიარების დოკუმენტი არ იქნება მიღებული.

5. კანდიდატისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება

5.1 ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს B1 დონეზე უფრო მაღალი ენობრივი კომპეტენციის დადასტურებას ან/და სხვა დამატებით მოთხოვნებს, შესაბამისად, მინისტრის ბრძანების მიღების შემდეგ, ხორციელდება ენის გამოცდისა და საჭიროების შემთხვევაში, დარგობრივი გამოცდის ორგანიზება.

5.2 აღნიშნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

6. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის წესი

6.1 სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, ჩარიცხულ სტუდენტს მისდის ინფორმაცია მისი ჩარიცხვის შესახებ და მოთხოვნა სწავლის საფასურის პირველადი შენატანის - 1000 აშშ დოლარის ოდენობით გადახდის შესახებ. აღნიშნული თანხის გადახდის შედეგად, სტუდენტს ეგზავნება მოწვევის თაობაზე წერილი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში. სწავლის წლიური საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვალდებულება სტუდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების გაფორმებამდე.

6.2 მეორე და შემდგომი წლიდან სწავლის წლიური საფასურის გადახდა სტუდენტის მიერ ხორციელდება სემესტრულად, ორ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 15 ივლისისა, შემდგომი წლის სწავლის წლიური ღირებულების 50%-ის ოდენობით, ხოლო მეორე ნაწილის გადახდა - არაუგვიანეს 15 იანვრისა, სწავლის წლიური საფასურის დარჩენილი 50%-ის ოდენობით.

6.3 სწავლის საფასურის გადაუხდელობა სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია, რომლის წესები განსაზღვრულია საბაკალავრო/სამაგისტრო დებულებებით.

6.4 სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია, როგორც გადარიცხვით (სარეგისტრაციო ბმულზე განთავსდება ინვოისი ან/და ანგარიშის ნომერი), ასევე ბარათის მეშვეობით. საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში, კანდიდატი ვალდებულია განახორციელოს საგადასახადო ქვითრის ატვირთვა. სარეგისტრაციო ბმულზე მითითებულია ასევე გადახდის ვადები და ფინანსური სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, გადახდის ვადებთან და ფორმასთან მიმართებაში კანდიდატის კონსულტირების/მხარდაჭერის მიზნით.

6.5 ფინანსური სამსახურის მიერ ხორციელდება კანდიდატის პირველადი შენატანის დადასტურება ონლაინ სისტემაში "გადახდილია საფასური" მონიშვნით. აღნიშნულის შემდეგ ინფორმაცია ხილვადი ხდება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისათვის, რომელიც მონიშვნით "სტუდენტად აღიარება" ადასტურებს აქტიური სტუდენტის სტატუსის ქონას და ხელშეკრულების გაფორმებისთვის მზაობას. აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ სტუდენტის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად გადადის უნივერსიტეტის ონლაინ სისტემაში - online ug, რაც გულისხმობს my ug-ით სარგებლობის შესაძლებლობას (კოდის და პაროლის მითითებით).

6.6 სწავლის საფასური არ მოიცავს დაზღვევის თანხას. სტუდენტი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერიდან **1 (ერთი)** თვის ვადაში უნივერსიტეტს წარმოუდგინოს სადაზღვევო პოლისი ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ, გაცემული მინიმუმ ერთი წლის ვადით. ამასთანავე, სტუდენტი ვალდებულია პოლისის ვადის გასვლამდე, უნივერსიტეტს წარმოუდგინოს ყოველწლიური განახლებული სადაზღვევო პოლისი, გაცემული სტუდენტის სწავლის ხანგრძლივობის ვადით.

6.7 სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს შეღავათი სწავლის საფასურზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე.

7. სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმება

7.1 სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმების ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სტუდენტის - my.ug. პლატფორმაზე. სტუდენტმა ქვეყანაში ჩამოსვლისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადების მიხედვით, წინასწარ იცის თუ რომელი სემესტრიდან შეუძლია შეუერთდეს სასწავლო პროცესს.

7.2 სტუდენტი ხელშეკრულების გაფორმებას ახორციელებს ფრონტ ოფისში; მან ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა წარმოადგინოს პასპორტი და სწავლის გადახდის ქვითარი. ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე, სტუდენტის მიერ ონლაინ რეგისტრაციისას წარმოდგენილი ფოტოსურათის ხარვეზის შემთხვევაში, ფრონტ ოფისი ადგილზე ახდენს ფოტოს გადაღებას.

7.3 ფრონტ ოფისში, მომსახურების მენეჯერი ახდენს სტუდენტის იდენტიფიცირებას და ამოწმებს სტუდენტის შესახებ online ug-ზე განთავსებულ სტუდენტის შესახებ ძირითად ინფორმაციას. საჭიროების შემთხვევაში მასთან შეთანხმებით ახორციელებს მონაცემების კორექტირებას. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ კი გენერირდება სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს ელექტრონული პადის მეშვეობით.

7.4 სტუდენტის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ხორციელდება ელექტრონული საშუალების გამოყენებით; ხელმოწერის შემდეგ, სტუდენტს ეგზავნებს SMS, სადაც მითითებულია ug.edu.ge მეილის სახელი და პაროლი და ინფორმაცია საორიენტაციო შეხვედრების თარიღების შესახებ. ხელშეკრულება იგზავნება სტუდენტის მიერ სარეგისტრაციო ბმულზე მითითებულ მეილზე და ახლადშექმნილ ug.edu.ge მეილზე. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე ხელს აწერს ასევე კანონიერი წარმომადგენელი და ხელშეკრულება იგზავნება მის მეილზეც.

7.5 7.4. პუნქტის წესების დაცვით ხელმოწერილი ხელშეკრულება ინახება ელექტრონულად online ug-ის ბაზაში და ხილვადია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურისთვის.

7.6 სწავლის საფასურის სრულად გადახდისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სტუდენტი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის ჩართულობით, ახორციელებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური რეგისტრაციის გავლას.

8. სწავლის საფასურის შენახვისა და დაბრუნების წესი

8.1 სტუდენტების მიერ გადახდილი პირველი წლის სწავლის საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება, გარდა წინამდებარე მუხლის 8.5 პუნქტში მითითებული გამონაკლისი შემთხვევ(ებ)ისა. მეორე და შემდგომი წლიდან სწავლის საფასური სტუდენტს უკან

უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სტატუსი შეუწყდება ან/და სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს:

(ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %

(ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არამეტეს წლიური სწავლის საფასურის 75%.

8.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 ან/და 10 წლიანი ვადის გასვლის გამო, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს უბრუნდება მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური 8.3. პუნქტის შესაბამისად.

8.3 მეორე და შემდგომი წლიდან დასაბრუნებელი სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე შეუჩერდა სტუდენტს სტატუსი. თუ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა ან/და სტუდენტმა სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართა:

(ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %

(ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არამეტეს წლიური სწავლის საფასურის 75%

8.4 უნივერსიტეტის ღირსების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

8.5 სტუდენტის მიერ გადახდილი პირველი წლის სწავლის საფასურის დაბრუნება, გამონაკლისი სახით განხორციელდება სტუდენტის მიერ სტატუსის შეწყვეტის თაობაზე განცხადებით მომართვის შემთხვევაში, ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობისას:

ა) თუკი სტუდენტი უნივერსიტეტს წარმოუდგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას, საქართველოს ვიზის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ან/და შსს-ს გადაწყვეტილებას, საზღვრის კვეთაზე უარის თქმის თაობაზე და სტუდენტს არ ექნება გავლილი აკადემიური რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს გადახდილი პირველი წლის სწავლის საფასური დაუბრუნდება სრულად, გარდა 300 აშშ დოლარისა.

ბ) თუკი სტუდენტი უნივერსიტეტს წარმოუდგენს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებას, ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე და სტუდენტს გავლილი ექნება აკადემიური რეგისტრაცია. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს გადახდილი პირველი წლის სწავლის საფასური დაუბრუნდება, იმის მიხედვით, როდის წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები, კერძოდ თუკი სტუდენტმა დოკუმენტები წარმოადგინა:

ბ.ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 30 %

ბ.ბ) მეორე სემესტრის აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება სტუდენტის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური, მაგრამ არაუმეტეს წლიური სწავლის საფასურის 50 %.

გ) თუკი სტუდენტი არ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს გადახდილი პირველი წლის სწავლის საფასური დაუბრუნდება სრულად, გარდა პირველადი შენატანის - 1000 აშშ დოლარისა.

9. საორიენტაციო შეხვედრის ორგანიზება

9.1 უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს, ფრონტ ოფისი და საერთაშორისო ოფისი აწვდის ინფორმაციას მატერიალური ან/და ონლაინ საინფორმაციო გზამკლევევის შესახებ, ასევე აწვდის ინფორმაციას, დაინტერესების შემთვევაში, საორიენტაციო შეხვედრაზე დასწრების შესახებ.

9.2 ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, online ug-ის ბაზაში გენერირდება საორიენტაციო შეხვედრების განრიგი შესაბამისი დროის მითითებით (მხედველობაში მიიღება ჯგუფში ადგილების ხელმისწავდომობა). ამასთანავე, ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე, სტუდენტს გადაეცემა ბეჭდური სახით საორიენტაციო შეხვედრის დრო.

9.3 საორიენტაციო შეხვედრას ახორციელებს საერთაშორისო ოფისი, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტურ საქმეთა ცენტრის ჩართულობით.

9.4 საორიცენტაციო შეხვედრის მიზანია, სტუდენტს გააცნოს სასწავლო სივრცე და აღნიშნულ პროცესში ხორციელდება:

ა) უნივერსიტეტის სივრცის დათვალიერება (ფრონტ ოფისი, სასადილო, ბიბლიოთეკა და სხვა)

ბ) უნივერსიტეტის ზოგადი სტრუქტურის გაცნობა

გ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და კრედიტების სისტემის გაცნობა

დ) ინფორმაციის მიწოდება, რომ შესაბამისი პროგრამის ხელძღვანელებთან, რომელთა გაცნობა განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, უნდა ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია

ე) ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 19 თებერვლის 06/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N18/25 ოქმით